



ჟოგელკვირული საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი
 № 18 21 სექტემბერი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: სპარსეთისა და ოსმალეთის მოძრაობის შე-
 სახებ.—გზა-და-გზა (ავტონომია და მუშათა კლასი).—სხვა
 და სხვა ამბები—ჩვენში.—რუსეთში.—ოსმალეთი.—სპარსე-
 თი.—სალ მი თქვენი! (ლეკი), **ჭეჩიშვილისა**.—მუდარა.
 (ლეკი პროზატი), **ლევ. მეტრეველისა**.—ბავშვი, **გ.ზ. მაჩა-**
ბელისა.—პროვინცია: ახალციხე-ჯავახეთი, რაჭა.—საზღვარ-
 გარეთი.—ქართული თეატრი ქ. ქუთაისში, **სერ. ყორჟ-სა**.
 —თეატრი, **პარ-სისა**.—ღია წერილი.—ბანცხადუბანი.

სპარსეთისა და ოსმალეთ-
 თის მოძრაობის შესახებ.

საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემა მოწვე-
 ბულ-მოდუნებულია, სახალხო თაოსნობა-თვითმო-
 კმედება ჩამკედარ-ჩაფერფლილია, რეაქციის სულის
 შემხუთავი ჯანლ-ბურუსი სტლათ დასწოლია გა-
 ტანჯულ-გაწამებულ ქვეყანას; აქ, ძალის, ტლანქ
 —ხეგრე ფიზიკურ ძალის, ძალადობას და თვითნე-
 ბობას ფართეთ დაუდგამს თვისი საზარელი, სისხ-
 ლით ნაღები ტახტი; ხოლო იქ, ცოტა მოშორებით,
 ჩვენს გვერდით, სამხრეთისაკენ, სამხრეთ-აღმოსავ-
 ლეთ-დასავლეთისკენ, სადაც ჯერ კიდევ გუშინ სი-
 კვდილის აჩრდილი დაჰფარფატებდა მონათა ბრბოს,
 იქ, თითქოს გრძნეული ძალის მეოხებით, ქვეყა-
 ნის საშინელი სუღარა უკვე გადასპროშია, თამაში
 ცხოვრება ძალუმათა სჩქეტს უხვ ნაკადულებათ და
 ხალ კალაპოტს იკეთებს თავისუფალ განვითარე-
 იებისათს.



ოსმალეთი, რომელიც ევროპულ პოლიტიკოსებისა და დიპლომატების სიტყვით, გუშინ წარმოადგენდა ცოცხალ მოვრს, დღეს უკვე ევროპულ ქვეყნის იერს იღებს. იქ ყოველ დღე იმართება მრავალ-რიცხოვანი სახალხო ყრილობანი, მიტინგები, სხვა-და-სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციების კრებები, სადაც აღიარებენ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს“, ამუშავენ პოლიტიკურ პროგრამებს და საარჩევნო პლატფორმებს, ადგენენ მომავალ საპარლამენტო ბრძოლის გეგმებს, ემზადებიან ახალ წეს-წყობილების დასამყარებლათ, პოლიტიკურ თავისუფლების განსამტკიცებლათ. ყველანი მოუთმენლათ ელიან და შეჰხარბიან პირველ ნომერს, როცა ოსმალეთში უნდა გაიხსნას პარლამენტი, რომელიც—ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის სიტყვით—თავის თავს დამფუძნებელ კრებათ გამოაცხადებს. სპარსეთი, ეს მორჩილი საწიწქნავი ლუკმა ევროპიელთა, უკან არა რჩება ამ მოძრაობას. სპარსეთში, მართლაც, რეაქციის ქარ-ტეხილმა უკვე დაამსხვრია პოლიტიკურ თავისუფლების ნორჩი დაწესებულებანი, მაგრამ ხალხს მაინც იარაღი არ დაუყრია და დღევანდლამდე გამწარებით ეკვეთება დესპოტს ბეჯითი გადაწყვეტილებით: „გამარჯვება ან სიკვდილი სახელოვანი!“ რაიც უტყუარი თავმდებია სახალხო თავისუფლების აღსადგენათ. ხოლო რუსეთი, ეს ბუმბერაზი სახელმწიფო, რომლის ძლიერების წინაშე ჯერ კიდევ გუშინ, რუსეთ-იაპონიის ომის წინათ, ევროპის თვით უდიდესი სახელმწიფოანი კრძალვით უკან იხევდნენ, რუსეთი დღეს საშინელ პოლიტიკურ აპატიას, უხალისობას მოუცავს, იმის ტყვიის ფერ, გაცრიატებულ ცაზე უმოძრაობას და უიმედობას დაუსადგურებია.

ყველა ამის შემხედვარეს, რუსის ნაციონალურ სიამაყეს ჰაი, ჰაი, რომ საბუთი არა აქვს იდიდგულოს. და ამით უფრო ნაკლებ საბუთს იძლევა დღევანდელ სპარსეთის ვითარება. გეხსოვებათ, რომ ამას წინათ შაჰს წარგზავნა რუსეთ-ინგლისის ნოტა, რომლითაც მას მოაგონებდნენ პირველ ნომერისათვის მეჯლისის მოწვევის საპირობებს. შაჰი ამაზე, რასაკვირველია, თანხმობას უთვლიდა. მაგრამ აი, გაზეთები გადმოგვცემენ, რომ შაჰი სრულებითაც არ ფიქრობს დაპირების შესრულებას. ამ დღეებში შაჰმა ინახულა საფრანგეთიდან მიღებული ახალი ზარბაზნები იმ კაზაკთა ბრიგადისთვის, რომლის კომანდირია პოლკოვნიკი ლიახოვი. შაჰი ზარბაზნების სროლით დიდთ კმაყოფილი დარჩა და განაცხადა: სანამ ადერბეიჯანს არ დავემშვიდებ, მეჯლისის მოწვევაზე ფიქრი ამაო არისო. პოლკ. ლიახოვით გამხვევებული შაჰი მეჯლისის მოწვევაზე კი არ ფიქრობს, არამედ ყველა კონსტიტუციონალისტების შეპყრობა-დამორჩილებაც და კონსტიტუციის საბოლოოთ მოსპობაც. რუსეთის მთავრობა ინგლისთან ერთად დიპლომატიური გზით მომხრე გამოდის სპარსეთში კონსტიტუციის აღდგენისა და იმავე დროს რუსის ოფიცერი, რუსის სამსახურში მყოფი და სპარსეთშიც რუსეთის მთავრობის მიერ გაგზავნილი,

პოლკოვნიკი ლიახოვი, რომელიც წინ უძღოდა ჯარისკაცებს სპარსეთის პარლამენტისა და ენჯუმენების დასანგრევათ, აი ეს პოლკოვნიკი მარჯვენა ხელი შეიქნა შაჰისა და რეაქციის სული და გული გახდა. ამას ისიც დასძინეთ, რომ ამას წინათ პროფ. ბროუნი სპარსეთისა და სპარსეთის საქმეების კარგათ მკოდნე ინგლისურ გაზ. „ტიმეს“-ში ფაქტებით ამტკიცებდა; ვითომ რუსეთის მთავრობა შაჰს მჭარველობას უწევს ძველი რეჟიმის აღსადგენათო. რაღა საკვირველია თუ რუსეთის ყველა პროგრესიული ორგანოები ეხლა დაჟინებით ითხოვენ და ურჩევენ მთავრობას უკანვე გამოიწვიოს პოლკ. ლიახოვი. ამას ჩვენ ამაო ფუქ ოცნებათ მივიღებდით, რომ თვით ინგლისის მთავრობასაც არ გამოეთქვა სურვილი — დასახელებული პოლკოვნიკი მოშორდეს სპარსეთის მიდამოებს. საქმე იქამდის მივიდა, რომ თვით დარბაისელი და ზომიერი გაზ. „СЛОВО“ მწუხარებითა სწერს: „თუ ამ უკანასკნელ ხანებში ევროპა რუსეთს აღარ უყურებს, როგორც თავის ქანდარმს, მით უფრო საჭიროა ეს მეტი სახელი ჩვენ არ დაგვიმკვიდრონ ახლათ გამოღვიძებულ აღმოსავლეთის ხალხებმაო“.

ასეა თუ ისე, ექვს გარეშეა, რომ სპარსეთში აქამდინაც განმტკიცებული იქნებოდა სახალხო მართვა-გამგეობა, რომ იქ საქმეში არ ჩარეულიყო „გარეშე ძალა“. მაგრამ ერთის მხრით ის გარემოება, რომ თვითონ რუსეთში დღევანდელი პოლიტიკური ვითარება, აპატია, ხალხის პოლიტიკური უილაჯობა წარმავალია და რომ აქ კონსტიტუციონური რეჟიმის დამყარება სადღე-ხვალიო საკითხი არის, და მეორე მხრივ, თვით სპარსეთის ხალხის თავ-განწირული ბრძოლა საკმაო თავმდები არის, რომ იქ პოლიტიკური თავისუფლების გამომწვევებს ვეღარაფერი ვერ შეაჩერებს. ყველაფერი მოწმობს, რომ ასევე, ანუ უკეთესათაო არის საქმე ოსმალეთში. ხოლო სპარსეთისა და ოსმალეთში კონსტიტუციონურ წეს-წყობილების დამყარება რუსეთის ხალხს შეაძლებინებს უფრო მეტის მხნეობითა და გამბედაობით გამოვიდეს განახლების გზაზე.

კერძოთ კავკასიისათვის და ქართველობისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სპარსეთისა და ოსმალეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა. ორივე ეს სახელმწიფო ჩვენ გვერდზე გვაკრავს, ორივე ჩვენი ძველის-ძველი, ისტორიული მეზობლებია. ამასთანავე ორივეგან სცხოვრობს ჩვენი ერის ადამიანთა საგრძნობელი რიცხვი. მოგვხსენებათ, რომ კაპიტალისტურ ცხოვრების პირობებში ნაციის რაოდენობას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს. ხოლო ნაციის სხვა და სხვა სახელმწიფოში მყოფ ნაწილთა დასახელებლათ და შესაკავშირებლათ კი ყოველივე სურვილები და იდეური ქადაგება შორ მანძილს ვერ გაივლის და ფუქათაც დარჩება, თუ აქ არ არსებობს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების მზავსება, დაახლოვება. უკანასკნელს ძალუმათ ხელს უწყობს თანამედროვე პოლიტიკური პირობები, სახალხო წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა. ასე რომ სპარსეთ-

ოსმალეთში კონსტიტუციონურ წეს-წყობილების შემო-
ღება მკვიდრ საფუძვლს უყრის, სხვათა შორის, ჩვენს
ქვეყნურ ქართულ მოძმეებთან ნაციონალ-კულტურულათ
შეკავშირებას. ეს თავის მხრივ მოასწავებს მთელი ერის
შემომკმედ ძალების გაღონიერება-განაყოფიერებას და
კულტურულათ ამაღლებას. ერის კულტურულათ გაღო-
ნიერება კი ნიშნავს უკეთესი პირობების შექმნას მუშა-
ხალხის გონებრივ-ზნეობრივ ასამაღლებლათ და საერ-
ლოთ მუშათა საქმის წინ წასაწევათ.

გარდა ამისა, ოსმალეთში, რაც დრო მიდის, იმდენი უფრო მწვავედება ეროვნული საკითხი. ამ დღეებში გამოქვეყნებული პრინცი საბაედინის და მის მიმდევართა დეკლარაცია აღმინისტრაციულ დეცენტრალიზაციის შესახებ თუნდაც მიღებულ იქნას ყველა ახალგაზდა ოსმალთა ორგანიზაციებისაგან, რომელნიც დღემდე სამწუხაროთ სრულ ცენტრალიზმის მებაირადტრეთ გამოდიან, ეს მაინც ვერ გადასწყვეტავს ეროვნულ საკითხს და, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს სომხებს, რომელნიც გაუსწორებელი ავტონომისტები არიან და სამართლიანაც. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხის გარშემო ატეხილი ბრძოლაც ჩვენთვის დიდათ საგულისხმოა, რადგან იგივ ნაციონალური საკითხი რუსეთის იმპერიაშიც ერთ-ერთი ძირითადი სახელმწიფოებრივი საკითხი არის.

აი ყველა ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ მთელის
არსებით თანაზიარი ვართ სპარსეთის და ოსმალეთის
განმათავისუფლებელ ბრძოლის სიხარულის და მწუხარების.

ॐ नमः शिवाय ॐ नमः शिवाय.

vii

ავტონომია და მუშათა კლასი.

ჩვენ გზა-და-გზა გავყევით ამხ. ჩხენკელს და ამასობაში სრულიად გადაგვაღიწყდა მეორე ამხანაგი, რ. ა., რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინათ ბავშვური სულსწრაფობით და დარდიმანდულობით ჩვენს წინააღმდეგ გაბოილაშქრა და ასეთი სტრიქონები ჩააწიქწიქა: „არ შემოიძლია უყურადღებოთ დავტოვო უკანასკნელ №-ში (ე. ი. „ჩვენი კვ.“ № 12-ში) მოთავსებული წერილი „პროფ. კავშირები და ეროვნული ავტონომიის საკითხი“,*) რომელშიაც **„ბევრი არეულ-დარეული აზრებია გამოთქმული“** („ხომლი“, № 26). პირველი ძირითადი არეულარევა და წინააღმდეგობა აზრისა რ. ა.-მ დაინახა იმაში, რომ ზემოხსენებულ წერილში ჩვენ პროფესიონალურ კავშირებს განუშმარტავდით თუ რამდენათ საქიროა მათთვის საკუთარ ორგანიზაციებს აწყობდნენ ცენტრალისტურათ, ხოლო სახელმწიფოში კი ენერგიულათ იცავდნენ დეცენტრალიზაციას, — აღმინისტრაციულს, ფართე ადგილობრივ თვითმმართველობის სახით, სახელ-

მშვიდოს საერთო დემოკრატიზაციის განსახორციელებ-
ლათ, და—ბოლიტიკურს, ავტონომიების სახით, ეროვ-
ნულ საკითხის გადასაწყვეტათ.

ერთის შეხედვით, აქ მართლაც არის წინააღმდეგობა. თუ ცენტრალიზაცია კარგია, ის კარგი უნდა იყოს როგორც მუშათა კლასის ორგანიზაციისათვის, ისე სახელმწიფო წესწყობილებისათვის, და მაშ ჩვენ მას უნდა ვითხოვდეთ, როგორც პირველისათვის, ისე მეორისთვის. ხოლო თუ ცუდია, ცუდი იქნება ორივეგან და მაშ ორივეგან უნდა უარყოფილ იქმნას. ასეთი მსჯელობა სწორე იქნებოდა, რომ სახელმწიფოსა და მუშათა კლასის შორის გამეფებული იყვეს ინტერესთა ჰარმონია, მაგრამ, მოგეხსენებათ, ნამდვილათ ასე არ არის. აი თვითონ გაზ. „ეკალი“ რას გვატყობინებს: „თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფო, ეს გაბატონებულ კლასთა ორგანიზაციაა; დღევანდელი მთავრობა, ეს ამ კლასების აღმასრულებელი კომიტეტია... დღეს მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება გაბატონებულ კლასების ხელშია. ეს მათი ბატონობის და ყველფის იარაღია, იარაღი, რომლითაც იმონებენ ხალხის ლატაკ ნაწილს, ხოლო ამ ორ კლასთა შორის შეურთგებელი წინააღმდეგობაა“ და სხ. („ეკალი“, № 13). ყოველ შემთხვევაში აქ ჩვენ წინ ორი მოწინააღმდეგე ბანაკია, და რაღა საკვირველია თუ იგინი ერთმანეთს შეეცილებიან სტრატეგიულ, სამარ გეგმის პრინციპში და ასეთი პრინციპია ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია. მუშათა კლასი, როგორც მეტბოლი მხარე, რა თქმა უნდა, დინტერესებულია ისე მოაწყოს თავისი ორგანიზაციები, რომ განხორციელებული იყოს ძალთა კონცენტრაციის მაქსიმუმი და ამასთანავე შესაძლებელი იყოს ამ ძალთა უფრო სწრაფათ და ადვილათ ამოძრავება. ასეთ მოწყობილობას იძლევა ცენტრალიზაცია და ამიტომაც მუშათა კლასი სწორეთ ამ პრინციპს უნდა ატარებდეს თავის ძალთა ორგანიზაციაში, **რამდენადაც კი ეს შესაძლებელია და შესაფერი ადგილობრივ პირობების მიხედვით.** იმავე მოსაზრებით გაბატონებული კლასებიც ესწრაფიან იმავე ცენტრალიზაციის პრინციპის გატარებას სახელმწიფოში და ამიტომაც მუშათა კლასი სახელმწიფოსათვის წინააღმდეგია ცენტრალიზაციის; ე. ი. წინააღმდეგია, რომ სახელმწიფოს მოეპოვებოდეს საშინელი იარაღი ყველფისა და ჩაგვრა-მონობისა. ასეა საქმე საზოგადოთ, მაგრამ ზოგადი მსჯელობით არ უნდა დავკმაყოფილდეთ ხოლმე. ზოგჯერ ცენტრალიზმი შეიძლება მოასწავებდეს უილაჯობას, უძღურებას და დეცენტრალიზაცია კი ჰქმნიდეს მეტ საქმიანობას, მეტ ძლიერებას. ყველაფერი დამოკიდებულია დროსა და ადგილის პირობებზე. თუ გვინდა რომ უზრუნველ ყოფილი ვიყოთ შეცდომებისაგან, საქმეს უნდა განვიხილავდეთ კონკრეტულათ. მაგრამ ამ საკითხის დაწვრილებით შესწავლა არ შეადგენს ამ წერილის საგანს. ჩაეყვით ისეგ რ. ა.—ს.

*) ნამდვილათ ჩვენს სტატიას სათაური აწერია: „პროფ. კავშირები და ნაციონალური საკითხი“.

ზემოხსენებულ ჩვენს წერილში საქმე ეხება რუსე-

კიდევ, თუ კი არ შესწევთ საკმარისი ნათელი და მტკიცე კლასიური შეგნება. და რომ ასეთი შეგნება ყველა მუშებს არ მოეპოვებათ, ეს, მგონია, ჩვენმა რ. ა. — ემბაცუნდა იცოდნენ. და მუშათა დაქსაქსვა ბურჟუაზიულ პარტიებში მით უფრო სწრაფად მოხდება, თუ საკუთარი კლასიური პარტიის, ს. დ. ზოგი წევრები იმდენად გაუკლმარებულან, რომ ნაციონალურ საკითხს ბურჟუაზიის საქმეთ აცხადებენ, და ავტონომიის წინააღმდეგ იმის პეტს ვერაფერს ახერხებენ, რომ „ქადაგივით“ გაიძახიან: ეგ „ძველი“ საქმეა, ეგ „ბატონ-ყმობის“ აღდგენას ნიშნავსო და სხ.

ყველა ზემო ნათქვამს ისიც დასძინეთ, რომ დაზარალებულ ერში შეზღუდულ-შეზოგადილია ნაციონალური სწავლა-განათლება და მთელი სულიერი კულტურა, რაიც ნიშნავს თვით მუშათა კლასის გონებრივ-ზნეობრივ შეზღუდვას და მაშასადამე მათ კლასიურად გაცნობიერების საქმის გაძნელებას. აი ყველა ამ მაგნე პირობების მოსასპობათ საჭიროა ნაციის მიენიჭოს თვითარსებობის უფლება, საჭიროა მიეცეს უტყუარი გარანტია მას ნაციონალურ-კულტურულ-ეკონომიურ ძალთა განსავითარებლათ. აი ასეთ გარანტიას, ჩვენი ქვეყნისთვის, დღევანდელ რუსეთში, წარმოადგენს ავტონომია და ამიტომ შეგვაქვს იგი ჩვენს პროგრამა-მიზნებში და ვითხოვთ ამის განსახორციელებლათ ბრძოლას როგორც რუსეთის პარლამენტში (სახ. დუმაში), ისე მის გარეთ.

ლიახ, ავტონომია ჩვენთვის ერთ-ერთი და მასთან აუცილებელი საშუალებაა მუშათა კლასის გაცნობიერებისა და მის ძალთა ორგანიზაციის **განსაადვილებლათ**. იგი საშუალებაა, რათა დაზარალებულ ერის მუშა ხალხიც სრულ-უფლებიან წევრად შევიდეს პროლეტარიატის საერთაშორისო არმიაში და მით ეს უკანასკნელი უფრო ძლევამოსილად ამოძრავდეს სოციალიზმისაკენ.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩ ვ ე ნ შ ი

ბელაგორი. მღვდლების ექსპროზიაცია. ჩვენს მეზობელ სოფელს „ამაშუკეთს“ სწორეთ უბედურება შემთხვეა. მას 8 სექტემბერს შანტაჟისტური მოსახრებით მოსტაცეს ორი მღვდელი და უგზო-უკვლოთ გადიკარგენ. აღმინისტრაცია ფეხზე დადგა და შეუდგა კვლევა-ძიებას, რის ვაი-ვაგლახის შემდეგ საზოგადოების დახმარებით მიაგნეს ბოროტ-განმზრახველთა ბინას, გაიმართა სროლა. ერთი შანტაჟისტთაგანი დაიჭრა, რომელიც ამხანაგებმა მაინც არ დასტოვეს, მღვდლები კი დაატოვებინეს.

— გაზ. „ბაკუ“-ს ცნობით მართლდება ის ხმა, რომ კავკასიაში სენატორის რევიზია ინიშნება. კავკასიაში უნდა ჩამოვიდეს სამი სარევიზიო კომისია, რომელიც ამიერ და იმიერ კავკასიის სრულ რევიზიას გაუკეთებს. ამავე დროს პეტერბურგს წავლენ ნამესტნიკის წარმომადგენლები,

ბი, რომელნიც სახელმწიფო სათათბიროში დაიკავებენ ნამესტნიკის მიერ წარდგენილ კანონ-პროექტს.

— მკითხველებს ეხსოვებათ, რომ შარშან დუშეთის მაზრაში დამშეულ ხალხს ფქვილი დაურიგეს. ეხლა მთავრობას ტომრების ფული შეუწერია ხალხისთვის — ტომარზე 50 კაპ., რადგან ტომრები თავის დროზე არ წარუდგენია ხალხს. ამრიგად დუშეთის ახლო-მახლო სოფლებზე შეწერილია 59 მან. („ამ.“).

— დუშეთის მაზრის ს.ს. ქსოვრისა და ლამის-ყანაში ეგზეკუცია არის ჩაყენებული. თხოულობენ რატი-შვილის მკვლელს, ნიკო სუხიშვილის გაცემას. მას დიდი ხანია სდევნის პოლიცია, მაგრამ ჯერ მაინც ვერ შეუპყრია. („ამ.“).

— ამ დღეებში შეუდგება „ოლღას საბეზიო ინსტიტუტის“ რევიზიას განსაკუთრებული კომისია, რომელიც დანიშნულია ნამესტნიკის მიერ.

— გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით დაიხურა სამხედრო წესებს მოხსნამდე შემდეგი გაზეთები: ქართულ ენაზე — „ნიშადური“, რუსულ ენაზე — „ტორ-გოვია გაზეთი“ და „ტიფლისკია ნოვოსტი“.

— როგორც ქუთაისიდან იტყობინებიან, 16 სექტემბერს სახალხო სკოლების ინსპექტორის ბინაში უცნობმა ბოროტგანზრახველებმა შეადგეს ყუმბარა. არაფერი დაზარალდა. ბოროტგანზრახველები მიიმაღლენ.

— 16 სექტემბერს დასრულდა **ზუგდიდის რესპუბლიკის საქმის** გარჩევა, რომელსაც ქუთაისში დახურულ კარებში აწარმოებდა თფილისის სამოსამართლო პალატის სესია. ბასუხის გებაში იყო მიცემული 19 კაცი. 5 კაცი სრულიად გამართლდა, რვას მიესაჯა გადასახლება; ამასთანავე სასამართლომ დაადგინა, რომ გადასახლებულთ თუ სურთ იშუამდგომლონ სადაც ჯერ არს, რომ გადასახლება ერთიდან ერთ-ნახევარ წლამდე გამასწორებელ სახლში დაპატიმრებით შეეცვალოთ. ხუთ ბრალდებულს მიესაჯა ორიდან ორ-ნახევარ თვემდე ციხე.

— ქ. თფილისში ჩამოვიდა მესკრიპკე დავიდ დავიდიანი, რომელმაც სამუსიკო განათლება მიიღო ბრიუსელის კონსერვატორიაში ცნობილ პროფესორ ტომსონთან. კურსის გათავებისთანავე ბ-ნი დავიდიანი მიწვეულ იქმნა პროფესორათ ეტერბეკის მუსიკალურ სკოლაში (ბრიუსელის ფობერგი).

ბ-ნი დავიდიანი და პიანინოს დამკვრელი ბ-ნი ქარ-თველიშვილი ახლო მომავალში აპირებენ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა მხარეს გააკეთონ არტისტიული ტურნე. ბ-ნი დავიდიანი ამ ჟამთ სკრიპკის კერძო გაკვეთილებს აძლევს მსურველთ. მისი ადრესია: ნიკოლოზის ქუჩა, № 75. თფილისი.

— 7 აგვისტოდან 18 სექტემბრამდე თბილისში ხოლოდრით ავთი გამხდარა 93 კაცი. ამათგან 60 უკვე გადაცვლილა.

რ უ ს ე თ ე ი.

სიკვდილით დასაჯეს: ვორიანეში—ერთი, რიგაში—ერთი, პრუსკუროვოში—ორი, სარატოვში—სამი.

— სიკვდილით დასაჯა გადაუწყვეტეს: სარატოვში—ერთს, ვარშავაში—ორს, ნიჟნი-ნოვგოდში—ორს, კიევი—რვას, ვარშავაში—რვას.

(„რეჩი“ №№ 215—218).

— გაზ. „კიევი. ვ.“ დააჯარიმეს 150 მან.

— პავლოვის სამხედრო სასწავლებელში ხოლოდით გახდა 43 იუნკერი.

— სოფ. ოზერკაში (სარატ. მაზრა) გლეხებმა უარი განაცხადეს ქადაგების ყურის გდებაზე, რადგან მასში საშინლათ ლანძღავდნენ ლ. ნ. ტოლსტოის. გლეხები საყდრიდან კარში გამოვიდნენ. ქადაგება მღვდელმა ძალა-უნებურათ შესწყვიტა.

— გაშინჯეს ხელახლათ პიროგოვის ექიმთა საზოგადოების გამგეობის კანტორა.

— „რეჩი“-ს სიტყვით მოსკოვში დაუქვრიათ დეკემბრის აჯანყების ერთი უმთავრესი მონაწილეთაგანი, რომელიც ცხოვრობდა „ვეტროვის“ გვარით.

— მოსკოვის მაძიებელმა პოლიციამ დაპატიმრა ქურდების ბრბო, რომელნიც სისტემატურათ იპარავდნენ ტელეფონის მავთულებს. ქურდების მეთაური აღმოჩნდა „გოროდოვოი“. უკანასკნელი მთელი თავისი ოჯახით მონაწილეობას იღებდა თურმე ქურდობაში.

— ჟანდარმების კორპუსის შესანახათ მცაურობას გადაუდია 14.578,506 მან. 1909 წლ., 978,884 მან. მეტი, მინამ 1908 წ.

— ხმები დადის, რომ სახალხო განათლების მინისტრი თავს ანებებს თავის თანამდებობას და ინიშნება სახელმწიფო საბჭოს წევრათ.

— სევასტოპოლში პოლიციამ ერთს სახლში ჩხრეკის დროს იატაკის ქვეშ აღმოაჩინა აუარებელი იარაღის საწყობი, ასაფეთქებელ ნივთიერებათა გასაყეთებელი მაშინა, ყალბი პასპორტები, ბროშურები და ბეჭედი სოც.-რევოლიუციონერებისა. დაპატიმრებულია ორი კაცი.

— მიუხედავად იმისა, რომ 1-ლ სახელმწიფო დუმის სამს დეპუტატს, დაპატიმრებულთ ვიბორგის მოწოდების გამო, შეუსრულდათ ქ. კიევის ციხეში სამ-სამი თვე, ისინი არ გაანთავისუფლეს. დაპატიმრების ვადა გაგრძელებულ იქმნა ერთის ზევით.

— სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა 1909 წ. უდრის 4.695,420 მან.

— ნოვოროსიის ქალაქის თვითმართველობის ხმონები, სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილებით, დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდან, რადგან მათ შემწეობა აღმოუჩინეს გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს.

— მელიტოპოლში 8 სტრაჟნიკს, რომელთაც ბრალათ ედებოდათ პატიმართა გალახვა და ხოცვა, აგადუწყვეტეს კატორგაში მუშაობა 4—6 წლ.

— ვარშავაში გაიხსნა რვა კლასიანი კომერციული სასწავლებელი ებრაელებისა. სხვა საგნებთა შორის ისწავლება ძველი ებრაული ენა, ლიტერატურა და ისტორია.

— ხერსონის გუბ. სახელმწიფო დუმის დეპუტატთა აირჩიეს გრაფი ვლ. ვას. სტენბოკ-ფერმერი, ზომიერი მემარჯვენე.

ო ს მ ა ლ ე თ ი.

ძველი რეჟიმის დროს ოსმალეთში არ არსებობდა არავითარი მუშათა ორგანიზაცია, და არც ისმოდა მუშათა კოლექტიურ გამოსვლაზე. დადგა სანატრელი დრო, პაერში აფრიალდა ნაციონალური დროშა, მომხიბვლელი ზე-წარწერით: „თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, ძმობა“, და გაისმა მომაჯადოებელი ტანჯული ერის ხმა: „გაუმარჯოს კონსტიტუციას!“

მრავალტანჯულმა ოსმალეთის სხვა-და-სხვა ერებმა ოდნავ თავისუფლათ ამოისუნთქეს ჯერ, როგორც ტოროლა მზის პირველ სხივებზე, დაფრთხნენ, მაგრამ მალე ყველა ჩაება საზოგადო მხიარულების ფერხულში და დაიწყო საზოგადოების ჯგუფებათ დაყოფა ინტერესებისა და მიხედვით.

გალატაკებული და გაძვალტყავებული მუშებიც გაიმართა წელში, და შეუდგნენ თავიანთ გაქვირებულ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში, რამდენიმე სინდიკატი და კავშირები დააარსდა. უწინარეს ყოვლითა ამ ორგანიზაციებმა პოლიტიკურ პირობების გაუმჯობესებასთან, მიზნათ დაისახეს ეკონომიურის გაუმჯობესებაც. საზოგადოთ ოსმალეთის დიდ ქალაქებში ცხოვრება არაა ძვირი, სულ რაღაც 8 პიასტრა (55 კაპ) ჯდება, მაგრამ უბრალო მუშას არ შეუძლია ეს დააკმაყოფილოს. ის დებულობს ღლეში 55 კაპიკზე უფრო ნაკლებს. ოსმალეთის ყველა დიდი ქარხნები და რკინის გზები აძლევდნენ თავიანთ მუშებს ლატაკურ ქირას, და არც დაუარსებიათ მუშებისათვის საპენსიო კასები აუცილებელ საჭიროებისათვის, ამისთვის საკმარისი არაა თუ რკინის გზის მუშებმა გაფიცვების დროს წამოაყენა სამი უმთავრესი მოთხოვნა: 1) სამუშაო ხელფასის გადიდება, 2) დამატებითი დაჯილდოება ხანგრძლივი სამსახურისათვის, 3) საპენსიო კასის დაარსება.

მუშები თავიანთ მოთხოვნებს იმუშავებენ ერთათ საზოგადო კრებებზე; პოლიცია არ ერევა კრებაში და ხელს არ უშლის. შემდეგ მოთხოვნებს უგზავნიან კომპანიებს, „ერთობისა და პროგრესის კომიტეტს“ და პრესას.

თუ მუშების მოთხოვნები არ დააკმაყოფილა კომპანიამ მაშინ, „ერთობისა და პროგრესის კომიტეტი“ ერევა საქმეში.

ჯერ ყველა გაფიცვები მუშების სასარგებლოთ თავდება. უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ-ჯერობით საზოგადოებისა და პრესის სიმპათია და თანაგრძნობა მუშების მხარესაა. „ახალმა რევოლუციამ, სწერს ერთი ოსმალური გაზეთის პუბლიცისტი ალი-ნამიჯი, — გააღვიძა მასსაში დიდებული იმედები, გარდაშალა მათ წინ მომხიბლველი ცისკიდე. არ შეიძლება მოატყუილოთ ეს მოლოდინი, „განუსაზღვრელი და გაუზღადვი პოლიტიკით“. უბრალო ხალხი ვერ გაიგებს პრეტყელ პრეტყელ სიტყვებს ძმობისა და თავისუფლებაზე, თუ ეს არ იქნება შეერთებული მის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან“.

მაშ ასე, პრესა და „შეერთებისა და პროგრესის კომიტეტი“ თანაუგრძნობს მუშებს და იღებს ყოველივე ზომებს, რომ გაუმჯობესდეს მუშების მდგომარეობა. მაგრამ ცდილობს იმავე დროს არ გამწვავდეს მდგომარეობა ევროპასა და სტამბოლის შორის, რადგან რკინის გზების ექსპლუატაცია ევროპიელ კაპიტალისტების ხელშია.

უნდა შევნიშნოთ, რომ მუშათა მოძრაობა ოსმალეთში განსხვავდება იმ ერთგვარი სიფთხილით, რომელსაც უკარნახებს ოსმალეთის მდგომარეობა და შეადგენს ოსმალეთის რევოლუციის განსაკუთრებულ თვისებას.

— ახალგაზდა ოსმალთა ბელადმა საბა-ედინმა წაიკითხა რევოლუციური ოსმალეთის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. მთელი სტამბოლი გულის ფანქარით მოელოდა მისგან ნაციების შესახებ რამე ახალის თქმას, მაგრამ თავის ამხანაგებს არ გაშორდა ბევრით. ის, როგორც სხვები, საშინელი, წინააღმდეგია რომ ოსმალეთის სხვა და სხვა ნაციებს მიენიჭოს ავტონომიური მართველობა. ის იცავს ოტომანის იმპერიის „მთლიანობას“, და აღიარებს ადმინისტრაციის დეცენტრალიზაციას. ახალგაზდა ოსმალნი თავიანთ ბელადებით ნაციონალურ კითხვაში რუსეთის „ზუბრებზე“ შორს ვერ მიდიან, მაგრამ ცხოვრების ლოდიკა მათ შეხედულებას დამსხვრევს და დაუმტკიცებს, რომ ოტომანის იმპერიის მთლიანობა თუ შესაძლებელია ეს მოხდება მაშინ, როდესაც ოსმალეთში მცხოვრებ ერთ მიენიჭება ავტონომია, რომ თავიანთ ეროვნული საქმე თვითონ აწარმოონ.

ს ზ ა რ ს ე თ ი .

თავრიზი. სამი დღის უქმათ სროლამ დაამტკიცა დამსჯელი ექსპედიციის, რომელიც შესდგება გაუწვრთნელი ველურებისაგან, სისუსტე და უარგისობა. ქალაქში პური. არაა. პურის შემოტანა ახლო-მახლო ადგილებიდან აკრძალა ეინ-ედ-დოულემ. (II. A.).

— ქერბულაში გამოაცხადეს საღვთო ომი შაჰის წინააღმდეგ, იმისთვის, რომ არ სურს მას შემოიღოს კონსტიტუცია. გაიმართა დიდი მიტინგი. სპარსეთის ქვეშევრდომთა მალაზიები დაიხურა.

— შაჰიმ გაუზღავნა ეინ-ედ-დოულეს მუქარის დე-

პეშა. აბრალებს მას ნაციონალისტობის მხარის დაქვრას და ხალხის მხარეს გადასვლას.

— ინგლისში ღრმად აღელვებულნი არიან შაჰის მოქმედებით, განსაკუთრებით მისი გამომწვევ დამოკიდებულებით ინგლის-რუსეთის ნოტასთან. გაზეთები თხოულობენ მთავრობიდან უფრო მეტ ენერგიულ ზომებს.

საგულისხმოა, რომ ზომიერი „ტიამსი“ უწოდებს შაჰის უსირცხვილოს და ემუქრება სპარსეთის მონარქს, რომ ის უნდა მოელოდეს ეხლა გარეშეთა უფრო ენერგიულ ჩარევას. სპარსეთის ხალხს დაეხმარება უცხოეთის სახელმწიფოები კონსტიტუციის დასაცველათ.

*

*

სადაში, თქვენ!..

ბრძოლის ველზე მამაცად მდგომნო,

საუკუნოებით განაწინო,

დამონებულნო!

შურის ძიების დაუნდობელ

მეხის მფრქვეველნო,

აფთარ ტიჩანსუ, მძარცველსუ

განრისხებულნო!

ჭოა, სპარსელნო! გმიერთ რაზმებო

მოძმენო ჩვენნო,

დადუბა, ძლევა თქვენს ემიღეშას

ამაჯათ გაშლილს,

თქვენს გმირულს ბრძოლას!

მტრის შემუსვრას, ირანის ძენო!

სადაში მოგვიდგნით,

მზაცვრელთადმი ამხედრებულნო,

ქარიშხალ-დედვით

მქმინავ სდკასიკრ აზვირთებულნო!

კუჩიშვილი.

მ უ ღ ა რ ა .

შორს, შორით ვხედავ საოცნებო სამფლობელოში ცხოვრების სურათს, აგებულსა კეთილ შრომაზე; აყვავებულს ნეტარებით, სიხარულით, ბედნიერებით, შემკობილსა სილამაზით, თვალწარმტაცობით, მოჯადოებით და გაშუქებულს, განსპეტაებულს შარვინდელის შუქ მომფენ სხივებით.

მესმის მისი ხმა, მოწოდება; მეც მას შევხარი, ველამუნები, მაგრამ ვერ ვხედავ, ვერც გზას, ვერც ბილიკს მისკენ მიმავალს, განათებულსა...

ჰოი, ცხოვრებაე სანატრელო, სათაყვანებო! ცხოვრებაე შრომის, სიყვარულის, სილამაზისა! შენს სიკეთეს, შენს სილიადეს ერთ ვარდის კონას მეცა ესტორცნიდი, მაგრამ რა ვუყო, თვალთ ვერას ვხედავ: ვარს სიბნელება, კუკუნათება...

მარჯვნივ წამოველ—სიმშოლს ვეჯახე, მაზედ გა-

მეტყუა გულის ფიცარი! მარცხნივ წავედი-უვიცობაზე,
ვით სიხსა ქვაზედ შუბლი ვახალე; წინ გულქვაობა,
მათზედ ნაკლები-რაც უკან დამხვდა. ვერ დავალწიე
თავი სიბნელეს, ვერ მოვაგენი მე შენსა გზასა...

ქვეყნის მნათობო ლაყვარლოვანო, რა ხარ?—ცის-
კარი? შუქურ ვარსკვლავი? ან ბადრი მთვარე? თუ ლაპ-
ლაპა მზე? ამოდი ჩქარა, გაჰვანტე ბნელი! შენ გელო-
დები სულის კვეთებით!...

შენსა შუქზედა ერთი-ორ წუთით იქნებ მეც შემ-
ხედეს შრომა, სიცოცხლე!... შენმა სხივებმა იქნებ გაათ-
ბონ ეს გაყინული გული, ხელები...

შენით გამთბარი ჩემი ხელები გაეპყრობიან ტანჯულ
მოძმისკენ და თაიგულათ მას მიაბრუნებენ ჩემსა სიყვარულს
და თანაგრძნობას...

შენი სხივებით გამთბარი გული ერთხელ ხომ მაინც
ამოიფეთქავს და ეს იქნება სხვა ჩაგრულთადმი მისი
სალამი და გამარჯვება...

ამო ცისკარო, შუქურ ვარსკვლავო!...

ამოდი მთვარევ!...

ამოდი მზეო!...

ლევ. მეტრეველი.



ბავშვი.

რამდენიმე ხნის წინაღ „პეტერბურსკაია გაზეტას“ გადათვლიერების დროს წავაწყდი ერთ ფრიად საყურადღებო, მაგრამ უყურადღებოთ დატოვებულს, ამბავს. პოლიციამ დააპატიმრა ორი ბავშვი, რომლებიც ღამე ცდილობდნენ მდინარე ნევაზე მდგომ პატარა ორთქლ მაღალი გემის აშვებას. ჩვეულებისამებრ ბავშვები წაიყვანეს საპოლიციო განყოფილებაში, და შეუდგნენ თუ რათ და რისთვის ცდილობდა ორი პაწია ბავშვი გემის აშვებას და ისიც ღამე, როდესაც მათი ტოლ-ბავშვები ბევრები ტკბილ ძილში არიან. ბოქაული სასტიკად შეეკითხა ბავშვებს, მაგრამ იმათმა პასუხმა, სისასტიკე უსაზღვრო სიცილად შეუცვალა, ბოქაულის და ოდნავ დატუქსული ბავშვები თავ-თავიანთ სახლებში გაისტუმრა. ბავშვებმა უპასუხეს: ჩვენ გვინდოდა ინგლისში წასვლა, იქ გამოჩენილი „შერლოკჰოლმის“ სასწავლებელში უნდა შევსულიყავითო.

აი... ამან გააცინა ბოქაული. შესაძლებელია მკითხველსაც ტირილი მოჰგვაროს ბავშვის ამგვარმა სიცელქემ, მაგრამ ეს სრულიადაც საცინელი არ არის. რა მოვლის ბავშვს, ამ ნორჩს და გაურყვენელს არსებას, თუ იგი ათის წლიდან აპირებს „მძებნელთა“ სკოლაში შესვლას. რას უნდა მოელოდეს მშობელი?

ამგვარი შემთხვევა იშვიათი არ არის. ხშირად წაიკითხავთ: ბავშვებმა „ყაჩაღობა“ ითამაშეს და ამხანაგი „ჩამოახრჩესო“; ბავშვებმა „რევოლუციონობა“ ითამაშეს და სახლს ცეცხლი წაუკიდესო. რატომ ხდება ესა? რას უნდა მივიწეროთ ამგვარი ველური მიმართულება ბავშვების თამაშისა?

ნუ თუ ბავშვის ბუნებაშია ეს ველურობა? ნუ თუ ჩვენი მომავალი მოქალაქენი აკენიდანვე-გარყენილი იბადებიან? არა, სრულიადაც არა. ჩვენ არ შეგვიძლიან ესტეკათ, რომ ბავშვი დაბადებიდანვე ავიზნის იყოს; მაგრამ ბავშვის ნორჩი გონება სწრაფად ითვისებს აყსაცა და კარგსაც. მშობლები და აღმზღდენი არიან დამნაშავენი, თუ ბავშმა ავიზნე გამოიჩინა. ბავშვი საკვირვლოდ გრძნობს თვის დანაშაულს, და თუ მას იგი სიყვარულით და აღერსით აუხსენი, იშვიათათ განიმეორებს სიცელქეს.

პროფესორი სიკორსკი ამაზედ შემდეგს მოგვითხრობს: „ჩემი პატარა ოთხის წლის ბავში, თამაშობდა სწორედ იმ ალაგას, სადაც ხელოსანი ელექტრონის სახით შუშებსა სცვლიდა. ბავშვმა უცაბედად გადმოაგდო და გასტეხა ერთი შუშა. ჩემს მოსვლამდე ბავშვი დიდით იყო აღელვებული, მას ეგონა ამისთვის დიდი სასჯელი მოელოდა. როდესაც სახლში დავბრუნდი ბავშვმა დაწვრილებით მიამბო თავისი თავგადასავალი და, სხვათაშორის, შუშის გატეხის ამბავიც. როდესაც დავამშვიდე, და აღერსიანად აუხსენი, რომ შუშის უცაბედად გატეხა დიდი დანაშაული არ არის, ბავშვმა მითხრა: „მეც მგონა ხელ-ფეხს შემიკრავდნენ და ციხეში

გამაგზავნიდნენო. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად დაეამშვიდე ბავში და თითქმის საშმა თვე მაც განვლო ამ შემთხვევის შემდეგ*, ერთხელ ბავშვმა ფანჯრიდან დაინახა ტუსალები დაარჯების თანხლებით, და მომიბრუნდა: აი მეც ესე..

„რათა“; შევეკითხე.—შუშა რომ გავტეხე.. მიპასუხა ბავშვმა“.

როდესაც აღელვებულმა ბავშვმა მიმართა მამას და აღერსიანი ახსნის მაგივრად მამა რომ გაჯავრებოდა და ეცემა, ბავშვისთვის-რაც ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, მაშინ ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი ბავშვის სიცრუის დაჩვენისა. იშვიათია ბავშვს არ ჰქონდეს იგივე სიმპატია საგნების მიმართ, რომელიც მის მშობლებს აქვს. ბავშვის ნორჩ ბუნების გაგება უფრო ძნელია, ვიდრე დადინჯებულის ადამიანისა. რა სიფრთხილე მართებს მშობელს ბავშვის აღზრდაში, ეს არა მგონია ბევრს ესმოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდნენ ის შესაზარი მოვლენანი, რომელთაც მეტად და დიდი ალბათი უჭირავთ ჩვენს აწყყნოში.

თამამად შეიძლება ესტეკათ, რომ 7/10 მაინც ჩვენი ბავშვებისა ან სრულიად უყურადღებოთ არიან დატოვებულნი, ან არა და დამახინჯებული უყურადღებო მათზედ მიტკეული. ბავშვის ყოველივე საქციელი არის მხოლოდ შედეგი იმ მიზეზისა, რომელიც არასოდეს თვით ბავშვი არ იმყოფება, და მუდამ მის გარეშე მყოფია. გამოუტყდელი მშობელი კი შედეგს აქცევს ყურადღებას, სტოვებს მიზეზს, რომელიც ხშირად მშობლისაგანვე წარმოდგება, და ამგვარად ადგენს თავის აზრს ბავშვზე.

ჩემს პატარა ნაწარმოებში მე მინდა ვაუწყო მშობელს თუ რა დიდი დანაშაული მიუძღვის მას ბავშვისადმი. როდესაც იგი იღვიძებს აზრიან ცხოვრებისათვის, მშობელი კი ხუმრობით და უყურადღებოდ ებყრობა, იმის ნორჩი გონების განთიადს. როდესაც ბავშვის გონება იღვიძებს და თავისუფლდება იმ ბურსისაგან, რომლითაც მოტული იყო რამდენიმე თვის განმავლობაში დაბადების შემდეგ. ბავშვის თამაშობა შეიძლება გაიყოს სამ ხანად, როგორც ამბობს პროფესორი სიკორსკი: 1) თამაშობა, რომელიც უადვილებს ბავშვს სურათების და საგნების მკაფიოდ შეთვისებას; 2) სადაც ბავშვი თითონ სცდილობს გახდეს მომქმედ პირად—ამამოძრავებელ ძალად და 3) სადაც ბავშვი აღარ კმაყოფილდება ერთისა და იმავე მოძრაობის განმეორებით, ეძებს ახალს, რათა ახალმა ახალი შთაბეჭდილება იქონიოს მის ქვეაზე.

პირველ შემთხვევაში, როცა ბავშვი ითვისებს რაიმე საგნის თვისებას, იგი განუწყვეტლივ იმეორებს ერთსა და იმავეს. „მაგალითად ერთმა ბავშვმა 79-ჯერ მოხადა და დახურა ჩაიდანს ხუფი (სიკოსკი). ერთხელ და ორჯელ განმეორებული მოხდა ხუფისა იმდენად სუსტად იბეჭდებოდა ბავშვის ტვინში, რომ ბავშვს დას-

* ბავშვს მაინც არ დაავიწყდა თვისი დანაშაული.

თითქმის ამერ-იმერეთს აღემატება, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქანეთი (ლაზისტანი) თითქმის ოსმალის მფლობელობაში ძვეს, ტრაპიზონის ვილაიეტში (ოლქ-ში). საზოგადოთ სამესეთოს უმეტესი ნაწილი ქართველ მაჰმადიანებისაგან შესდგება, სადაც 200,000 მცხოვრებელი ირიცხება; მარა ქართველი ქრისტიანები (კათოლიკენი და მართლმადიდებელნი) და სომხებიც დიდ ძალს შეადგენენ. უკანასკნელნი იპყრობენ უფრო ახალციხე-ჯავახეთს, ართვინსა (ლივანაში) და არდაანსა და არდანუჯში (შავშეთ-ხევსურეთში). ცხოვრობენ აგრეთვე ბევრი თათარჟამა, ქურთი, თურქიშანი და დუხობორებიც. მაჰმადიანთა შორის, სამშობლო ენა წმინდათ შერჩათ 2—3 საუკუნით ქრისტიანობიდან ჩამოშორებულთა, მხოლოდ აქარა-ქობულეთს, ართვინის გარემო მიდამოებსა და ნაწილს ახალციხის მაჰმადიანებისა, დანარჩენ ადგილებში ან მცირეთ ახერხებენ და ან სრულიადაც ცალარ ლაპარაკობენ.*) ასევე ითქმის ქრისტიან ქართველებზე (კათოლიკეთა შორის). ს.ს. კარტიკაშის, ტურცხის, სულგუმის, ბაგრის (ჯავახეთშია) და ართვინის და არტაან-არტანუჯის მცხოვრებლებზე, რომელთაც სრულიათ დაუკარგავთ სამშობლო — ქართული ენა. ართვინის და არტაან არტანუჯელთა შორის ნიშნათ ქართული ენის ნასახისა შერჩენიან ბევრი ქართული სიტყვები, რომლებსაც თავიანთ ჩვეულ სომხურ ენაში ურევვენ ხოლმე დომხალივით, მაგ.: დედა, ბიძა და სხვ.

შევუდგეთ ისევ ახალციხე-ჯავახეთს.

აწყო განვითარებისა და ხალხის გამომდევების სხივმა ახალციხე-ჯავახეთშიაც შემოანათა. ადგილობრივ მკვიდრ მაჰმადიანებსაც აგრძნობინა, რომ მამა-პაპურ სინელეში დარჩენა შეუძლებელი იყო, თავი უნდა დაეღწია მონობისაგან და ახალ ცხოვრებას დასწაფებოდა და დაუყანებლივ შეუდგა სხვებთან ერთად ძველი რეჟიმის დაგმობას; თუმცა აწინდელმა რეაქციის სიღრმე-ქირემ აქაც გაჟანტა ამისთანა პროგრესიული მოძრაობა, მაგრამ ახლათ განვითარებული მესხი მაჰმადიანი მაინც დარწმუნებულია, რომ ოდესმე, თუ ადრე ვერა, დაჰბერავს თავისუფლების ძლიერი ქარი და განაახლებს ცხოვრებას, თავისუფლათ ამოისუნთქვენ ესენიც და ამ იმედებით გამსჭვალული დიდი სულგრძელობით განაგრძობენ დღევანდელ ტვირთის ზიდვას. თუ 4—5 წლის წინეთ საცხოვრებლათ გადადიოდნ ოსმალეთში, დღეს კი თავიანთ მამაპაპურ მიწა-წყალზე მკვიდრათ იკიდებენ ფეხს და არამც თუ აღარ ფიქრობენ სამშობლოს მიტოვებაზე, პირიქით, ძველათ გადასახლებულთაც აქეთ იწვევენ.

ამავე შეგნებამ აფიქრებინა მათ სწავლა-განათლების მიღების აუცილებლობა და დაიწყეს თავიანთ შორის

სკოლების გახსნაც. თუმცა ახალციხე უკანასკნელ ადგილს იკერს საქართველოში სწავლა-განათლებით ჩამორჩენაში, რადგანც მთელ მაზრაში აქ, სულ 8 სამინისტრო სასწავლებელია, მარა ორი სკოლის გარდა ყველა ეს სასწავლებლები მაჰმადიანთა შორის არსებობს, ასე რომ მაჰმადიანები აქ თავიანთ მეზობელ ქრისტიანებსაც წინ უსწრობენ (მაგ., ვალე და არალი, რომელებიც ქრისტიან ქართველთა შორის უპირველეს სოფლებათ ითვლებიან, სამინისტრო სასწავლებელს ვერ ნახავთ, როდესაც მაჰმადიანთა შორის ამაზე ჩამორჩენილ სოფლებში სასწავლებლები უკვე გახსნილია). ქრისტიანებთან შედარებით, მაჰმადიანები აქ ეკონომიურათაც დაწინაურებულები არიან. ასე რომ ახალციხე-ჯავახეთის მაჰმადიანები ბევრათ სჯობიან მეზობელ ქრისტიანებს ყოველმხრივ. მათშია ნდობა, სიმართლე, პატიოსნება, მეზობლის გატანა, გულკეთილობა, სტუმართ პატივისცემა და ყოველნაირი სიპატიოსნე, რაიცა ქრისტიანებში იშვიათია აქ.

ადგილობრივი ხალხი უფრო მეურნეობას მისდევს, მოყავთ: პური, ქერი და სიმინდი. მოყავთ აგრეთვე ბოსტნეულობი და სოესენ შიგ უმეტესათ კარტოფილს, აშენებენ ბაღებს, ამრავლებენ საქონელს; ყველა ეს მათ ცხოვრების უმთავრეს საღსარს შეადგენს; ეწევიან ფეხზე ვაჭრობა-მრეწველობასაც, მეფუტკრეობას ალაგ-ალაგ მისდევენ. მიწის სიფიწროვე კი ძალიან აწუხებს მკვიდრთ და ამიტომაც მიწას ეძებენ გადასახლებლათ.

ამჟამათ ხიზაბავრიდან 30 კომლი მიდის გორის ახლო ს. სკრაში, სადაც თბ. სათავად-აზნაურო ბანკის მამულებს ყიდულობენ: 400 დესეტინა სახნავ-სათესი და სავენახე ადგილებია, 40 დეს. სათიბი ქალები და 1,000 დესეტ. ტყე. ამას სულ 40,000 მან. ყიდულობენ. გადასახადი განაწილებული ჰქონიან თურმე ასე: 5 ათასი მანეთი უნდა გადაიხადონ ჩასახლების დროს 5 ათასი ექვსი თვის შემდეგ, ათასი ერთი წლის განმავლობაში და დანარჩენი 20,000 მან. 36 წლის განმავლობაში. ის ვერ გავიგე, რა პირობებია თუ ვადაზე ვერ გადაიხდიან ამ ფულს.

მე კი მეონია, პირველ 20 ათას მანეთს ორი წლის განმავლობაში ვერ გადაიხდის გლეხი. საქირა ვადის გაგრძელება. გადასახლების დროს მას თვითონ სჭირია ფული.

მესხი კ. გვარამაძე.

ჩაჭა. ძალიან ცუდ მდგომარეობაში აგდებს რაქას გზის უქონლობა. ყოველივე ნივთი ამის გამო თითქმის ერთი ორათ ფასობს და ტყავამძვრალი ხალხი გაცილებით მეტ ვასაქირში ვარდება. მართალი, არის ერთი გზა, მაგრამ ხალხისთვის მაინც უსარგებლოა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის ძალიან ცუდია და ამიტომ საშიშიც, და მეორეც, მიმოსვლის საქმე აქეთ ისეთ პირების, ხელშია რომლებიც მგზავრების ჯიბეების უზომო ექსპლოატაციას ეწევიან, — საგზაო ფულის ორჯერ

*) ერთი ინგლისის ელჩი სწერს: ანატოლიის აწერილობაში შევამოწმე, რომ 600,000 პანი ლაპარაკობს მცირე აზიაში ქანურათო, იხ. გაზ. „ისარი“-ს № 128, 1907 წლისა.

გადახდევინება, გზაში შეჩერება, მგზავრებთან მოუურიდებელი მოპყრობა, და ყოველ წუთში მოსალოდნელი გადავარდნა ხევში, — ეს ჩვეულებრივია მრავალ ჯელ იყო აღნიშნული გაზეთებში ასეთი არანორმალური მდგომარეობა მიმოსვლისა, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია ჰეონი, არც მომავალში მიაქციონ, თუ თვით საზოგადოებამ არ ამოიღო ხმა.

როგორც ვაღივეთ, განზრახვა ქონიათ რაჟა ლეჩხუმის გზაზე ავტომობილით მიმოსვლა მოაწყონ. ეს ძალიან სისიამოვნო მოვლენაა და ჩვენის ფიქრით, არც საქმის მომწყობნი იზარალებენ თუ საქმეს მოაწყობენ და ისეთ არა სისიამოვნო შედეგებს, რომელთაც ეხლა ადგილი აქვთ, ბოლოს მოუღებენ.

დათიკო ჩაჭველი.

ქართული თეატრი ქ. ჭუთაისი.

8 სექტემბერს ადგილობრივმა დრამატიულმა დასის
მხანაგობამ სეზონი გახსნა.

— შემდეგში რა იქნება ვინ იცის—და ჯერჯერობით სეზონის დაწყებას სრული უნუგეშობა და უიმედობა ეტყობა,—როგორც თვით დრამატიული საზოგადოებისაგან ისე ქუთაისის თეატრში მოსიარულე ხალხისაგანაც.

წლის დამდეგს, ახლ ვე აქაურობა საზოგადოებამ თუ
ამგვარი გულცივობა და აპატია გამიჩინა ერთთ ერთ
სიმატიურ, ეროვნულ დაწესებულების-თეატრისადმი,
შენი მტერი, ის სულს მალე დაღაფავს. წარმოიდგინეთ,
აქაურ საზოგადოების „საზოგადოებრივმა“ და მისი ხე-
ლოვნებისადმი გემოვნება. ამ საღამოს ცირკი, ეს მას-
ხარათა საოხუნჯო დაწესებულება გატენილი იყო ხალ-
ხით, თეატრი, ლოფები, ქანდარა-კი სატირალ სიკაღე-
რეს განიკთიდა. ათიოდ პირი მოსულიყო თეატრში,
დანარჩენი-კი ცირკს მიეზიდნა.

მართალია მოწაფენი, რომელნიც ყოველთვის სწყა-
ლობენ ხოლმე თეატრს ნაკლებათ იყვენ, მაგრამ იმათ
საპატიო მიზეზიცა ქონდათ ამისთვის: ვიღაც მოსწავლის
მიერ მოხდენილ ინციდენტის გამო, ცირკში წინა ლა-
მეს, ახლა ყველა მოსწავლეთ თეატრში სიარული აუკ-
რძალეს; ეს კარგი, მაგრამ სად იყო ის საზოგადოება,
რომელიც სეზონის გახსნას ასე შეხაროდა და ელოდა?

დრამატიული დასის წრევანდელ შედგენილობაზე, მათ რეპერტუარზე შემდეგში ვისაუბროთ, აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ სეზონი ულაზათო, უინტერესო პიესით დაიწყო. ითამაშეს კრიგერ-ბოგდანოვსკის სამ მოქმედებიანი, მ. მარჯანიშვილის ნათარგმნი დრამა „იდეალებისთვის ბრძოლა“.

ფაულა პიესისა შემდეგი: პირველ აქტში ჩვენ ვხედავთ შრომის მოყვარეს, ენერგიულსა და გულმართილ სტუდენტს, იუზისტს ვასილი ვიქტოროვიჩ ნიკიტინს, რომელიც მუდამ იდეალებზე ფიქრობს და ბრძო-

მეს, ახლა ყველა მოსწავლეთათვის თანაბრად უნდა
რძალეს; ეს კარგი, მაგრამ სად იყო ის საზოგადოება,
რომელიც სეზონის გახსნას ასე შეხაროდა და ელოდა?
დრამატიული დასის წრეებიდან შედგენილობაზე,
მათ რეპერტუარზე შემდგომი ვისაუბროთ, აქ მხოლოდ
იმას ავლნიშნავ, რომ სეზონი უღაზათო, უინტერესო
პიესით დაიწყო. ითამაშეს კრიგერ-ბოგდანოვის სამ
მოქმედებიანი, მ. მარჯანიშვილის ნათარგმნი დრამა

ფაულა პიესისა შემდეგი: პირველ აქტში ჩვენ ვხედავთ შრომის მოყვარეს, ენერგიულსა და გულკეთილს შრომის მოყვარულს, ენერგიულსა და გულკეთილს. მისი სახელია პიეტრო. მისი მეუღლეა მარია. მათი ორი შვილია: პიეტროს ვაჟი და მარიას ქალიშვილი. პიეტროს ვაჟი და მარიას ქალიშვილი. პიეტროს ვაჟი და მარიას ქალიშვილი.

თილ სტუდენტს, იუზისტს ვასილი ციციშვილს და მისი თანამაშის მხრით მსახიობებს ეტყობოდათ ცდა ხელ-

შეწყობით ეთამაშნათ და თუ მხედველობაში მივიღებთ თეატრის სიცალიერის გავლენას, მაშინ მათ ვერ ვუსაყვედურებთ ულაზათო თამაშს: ჩვეულებრივის მოხდენილს თამაშით შეასრულა თავისი როლი ნ. დავითაშვილის ასულმა; მან მშვენიერათ დავისურათა ცხოვრებიდან გარყულის, წუმვეში მყოფისა და უღმომღელ პირობების მიერ შექმნილის მსხვერპლის, როსკიბ ქალის სულისკვეთება: კარგნი სტუდენტები იყვენ ბ-ნნი ზარდანიშვილი და შ. დადიანი, მეტადრე ალაგ-ალაგ კარგი იყო პირველი, როცა ის ოცნებათა სამეფოში შესტოპავდა. მოსალოდნელის სისწორით გადმოგვცა ქ-ნ ჯავახიშვილისამ ანჩხლისა და კაპას დიასახლის ოღვა ივანოვნას როლი. დანარჩენნი: ურბნელი, ქილაქაშვილის ასკლნი, ბ-ნნი ბურუსიძეს, ბარველი ანსამბლდა ხელს უწყობდენ. კარგი იქნებოდა, რომ სეზონის გახსნისათა-ნავე „*громаде сцелер*“-ის ძახილი არ ყოფილიყო. მთარგმნელის ენის ღირსებაც ნათლათ გამოსჩანდა.

დასასრულ ითამაშეს პოტაპენკოს შესანიშნავი ვოდევლი: „ტაინი სავეტნიკის სიზმარი“. დამსწრე ხალხი ასიამოვნა თავის თამაშით სავეტნიკის როლის ამსრულებელმა ბ. შალიკაშვილმა. შ. დადიანი ჩვეულებრივი კარგი იყო... საჭიროა მეტი ცთა, მეტიშრომის უნარი..

12 ენკენისთვის თამაშობვი პაუპტმანის ოთხმოქმედებიან დრამას, აბაკელის მიერ ნათარგმნ პიესას „მიხეილ კრამერ“-ს. ვნახოთ, პაუპტმანი მოიზიდავს ხალხს თუ არა.

სერ—ჟორჟ.

საზღვარ-გარეთ

გერმანიის სოციალდემოკრატიის პარტიეტაგი.

ამ დღეებში ქ. ნიურენბერგში შეიკრიბა გერმანიის სოციალდემოკრატიის პარტიეტაგი. ამ პარტიეტაგის დღიურ წესრიგში უმთავრესი ალაგი ეკირა „სახელმწიფოს ბიუჯეტის კითხვას“. დიდი ხანი არაა, რაც ეს კითხვა წარმოიშვა, მაგრამ მან უკვე დიდი აურზაური და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, როგორც სოციალისტურ, ისე ბურჟუაზიულ პრესაში. ამ რამდენიმე ხნის წინათ გერმანიის სამხრეთის სახელმწიფოებში (ბავარია, მადენი, ვიურტენბერგი) სოციალდემოკრატიულმა ფრაქციებმა ადგილობრივ ლანდტაგებში ხმა მისცეს მთავრობის ბიუჯეტს. ბურჟუაზიული პრესა დიდის ალტაცებით მიეგება ფრაქციების აეთს მოქმედებას, მხოლოდ პარტიულ გაზეთების უმეტესობამ დაინახა სამხრეთელ ამხანაგების ასეთ საქციელში პარტიული დისციპლინის დარღვევა, დადგენილების უარყოფა და კლასობრივ პოლიტიკის გაბათილება, ოპორტიუნისტულ გზაზე დადგომა.

ამ კითხვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, პარტიეტაგის სხდომაზე მკაცრი ხასიათი მიიღო და სამხრეთელ და ჩრდილოელ დელეგატთა შორის დამოკიდულება გააშქვავა.

„ბიუჯეტის კითხვის“ შესახებ პარტიეტაგის ახალი

არაფერი უთქვამს, მომხრეც და მოწინააღმდეგეც იმეორებდა ერთ და იმავე საბუთებს, რომელიც უკვე იყო გამოაქმული პარტიულ გაზეთებში, მხოლოდ ჩვეულებრივი შეურიგებელი იყო როზა ლიუქსემბურგის სიტყვა.

„დღევანდელი დღის თემა შეიცავს არა თეორიულ კითხვას, არამედ პოლიტიკურ მოქმედების კითხვას, ჩვენი ტაქტიკის არსებითი კითხვას. სოციალდემოკრატიული კლასობრივი პოლიტიკა გვაძალებს ჩვენ, რომ ბიუჯეტის რეგულიარული უარყოფით გამოვთქვათ ჩვენი სიძულვილი არსებული სახელმწიფოებისადმი. რა მოყავთ საბუთათ ჩვენ სამხრეთელ ამხანაგებს? ბავარელ კათოლიკეთა ლიბერალიზმი და ბადენის მინისტრთა პროგრესიული აზრები, იმ მოსაზრებით, რომ ბადენის მუშებს ეძლევათ იმის ნაწილი, რაც მათ მკაცრმა ტარიფებმა წაართო; იმ მოსაზრებით, რომ იქ რკინის გზის სადგურებზე ნება აქვთ ჰყიდონ სოციალდემოკრატიული გაზეთები,—ამბობენ, ვითომ ბადენში სოციალდემოკრატიამ მიიღო მოქალაქობრივი სწორი უფლებიანობა. დიახ, ბატონებო, დიპლომატია ყოველთვის იყო დათმობის საუკეთესო სკოლა. ამ დასაწყისს ჩვენ ვამჩნევთ ჩვენს სამხრეთელ ამხანაგებს, ბოლოს კი—ლიბერალურ-კონსერვატიულ ბლოკის მოქმედებაში. წვრილმანი დათმობით მუშათა კლასი ვერაფერს ვერ მიიღწევს. იმის ბედნიერებისათვის საჭიროა შეუბრალელებელი ბრძოლა. ჩვენ გვაქვს სრული უფლება შევძახოთ პარტიის დამგრეველებს: კმარა, არც ერთი ნაბიჯი წინ!“

დიდი დებატების შემდეგ დეპუტატ ფრომეს შემოაქვს მომრიგებელი რეზოლიუცია:

„პარტიული სიეზდი ამტკიცებს ლიუბეკის რეზოლიუციას და დაგათა ასაშორებლათ ბიუჯეტის უარსაყოფათ თუ დასამტკიცებლათ ადგენს, რომ თითოეული სიემის ფრაქცია ყოველ შემთხვევაში პირველათ მიმართავს თავის ადგილობრივ კომიტეტებს და შემდეგ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს“.

ეს რეზოლიუცია უარყოფილ იქმნა 217 ხმით, 160 წინააღმდეგ. საგულისხმოა ის, რომ ყველა დელეგატმა ქალმა წინააღმდეგ მისცა ხმა.

შემდეგ გავიდა ცენტრალურ კომიტეტის რეზოლიუცია 258 ხმით 119-ს წინააღმდეგ.

ამრიგათ სამხრეთელ დელეგატების შეხედულება დამარცხდა „ბიუჯეტის კითხვაში“.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ დეპუტატმა ზეიგიცმა 67 ბავარელ, ბადენელ ვიურტემბერგელ და გესენელ დელეგატთა სახელით განაცხადა:

ჩვენ ვსცნობთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ სიეზდს პარტიის კანონიერ წარმომადგენელათ და ვსთვლით მას რწმუნებულათ მიიღოს გადაწყვეტილება ყველა პრინციპიალურ და ტაქტიკურ კითხვების შესახებ, რომელიც შეეხება სრულიად საიმპერიო პარტიულ საქმეებს. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვფიქრობთ, რომ კრძო ქვეყნების ყველა სპეციალურ და პოლიტიკურ კითხვებში კომპეტენტურ ინსტანცებათ უნდა იყოს ადგილობრივი ორგანიზაციები. ისინი სდგანან საერთო

ლია წერილი თფილისის სახალხო უნივერსიტეტის ოსურ სექციის წევრს მათე თომავეს.

ბ-ნო მათე, თქვენ ერთ-ერთ კრებაზე მიწოდეთ ჯაშუში, გარდა ამისა თქვენ სთქვით სოფლათ ჩემი მოქმედება, რომ გაიგოს ხალხმა, ის მე საზოგადოებაში აღარ გამატარებო, რადგანაც ყოველად საზიზღარ საშუალებას მიმართეთ ჩემი სახელის ხალხში დასაცემათ, სიმართლის აღსადგენათ მოვითხოვ თქვენგანთ გამოყვეთ სამედიატორო სასამართლოში იმ პირობით, რომ სასამართლოს დადგენილება იქმნეს გამომცხადებული გაზეთებში.

ჩემის წვრილთ ვასახელებ მედიატორებათ მ—ს და მიმინოს, ვადას გაძლევთ ამ წერილის გამოცხადების დღიდან 6 დღეს.

ოსი.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ ბარამაშვილი.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი .

რედაქცია ამით აცხადებს,—ვინც

●● „ჩ ვ ე ნ კ ვ ა ლ ი“ ●●

წასული თვეების ნომრებით, ან მხოლოდ პირველი სექტემბრიდან გამოიწერს წლის ბოლომდე, მიიღებს

პრემიას პოპულიარულ სამეცნიერო სტატიებისა და მოთხრობათა

პრემიულს

რომელიც დაახლოებით შეიცავს 200 გვერდს.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩ ვ ე ნ კ ვ ა ლ ი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ 5 მ.	კ.
წახვეარ წლით —	3 მ. — კ.
სამი თვით —	1 მ. 60 კ.
საზღვარ გარეთ ერთი წლით	7 მ. — კ.
წახვეარ წლით —	4 მ. — კ.
სამი თვით —	2 მ. — კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველდღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან წაშუადღევს 2 საათამდე.

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია

„სორაპანი“ მაღათვის კენძული. ფოსტით ფული და წ.

რედაქცია უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

თიფლისი. Редакция „Чвени Квали“. Банкская ул.
№ 12. Рахиль Каландадзе.

ახალ გახსნილი სახელოსნო

მეხატვარი ი. მ. რევაზოვი

ვლებულობ სამუშაოს ყოველგვარ საფეხეკო, სავარაყო, სამხატვრო, სამღებვრო და საბაკეტოს.

საქმეს ვასრულებ კარგათ და სინდისიერათ, რაშაც შეუძლიათ მათეგეკმულ შეკვეთებს დაწმუნდენ.

ადრესი: Разъезжая ул. Д. Попова, № 11, вх 9 уч.

1908 წ. ენკენისთვის 1-დან ქუთაისში

6. ლ. მიქელაძის ასულმა

მთავრობის ნებართვით გახსნა მე-3 ხარისხის

ქალთა სკოლა

პროფესიონალურ განყოფილებით

ასწავლიან: 1) სრულს კურსს ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლისას.

2) სრულს კურსს ქრა კერვისას, სხვა და სხვა დარგის ხელთ-საქნარსა და შლიაპის ხელობას.

სწავლის ქირა წელიწადში 36 მანეთი.

თხოვნები მიიღება სასწავლებელში. ტფილისის ქუჩა, სახლი ნესმაშინის (ადრე სანიკიძისა).

ახალი გამოცემა

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა.

დედა-ენა, ნაწილი მეორე, ოცდა-მესამე გამოცემა წერაკითხვის საზოგადოებისა. ჩამატებული აქვს ექვსი გვერდი ახალის საწერი დედისა და თორმეტი, ნოტებზე გადაღებული, სახალხო სიმღერა: კახური, ქართლული, იმერული, გურული, მეგრული, სვანური. ფასი იბივეა.

დედა-ენა, ნაწილი პირველი, გამოცემა ოცდა-მეოთხე, დაბეჭდილია ახლად ჩამოსხმული ასოებით, იპყრობს სამს გვერდს სხვილის ხელის დედისას. ფასი იბივეა.

რუსსკოე სლოვო, ნაწილი პირველი, მეოთხესმეტე გამოცემა, იპყრობს ახალს პეტერბურგში დამზადებულს ნიმუშებს რუსულის პირდაპირის წერისას: ფასი იბივეა.

რეკულები, პირდაპირ რუსული წერისა, საუკეთესო ქალაღზე დაბეჭდილი, იყიდება წერაკითხვის საზოგადოებაში და ბრიტუროვან, ფასი სამი კაპეიკი.